შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში 2023 სასწავლო წლის 30 სექტემბერს ჩატარდა ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო გამოკითხულთა აზრის შესწავლა კოლეჯის მენეჯმენტის თაობაზე.

კერძოდ, კვლევის ამოცანას შეადგენდა დაედგინა ის, თუ როგორ აფასებს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი კოლეჯის ადმინისტრაციის ერთეულების საქმიანობას კოლეჯში სტანდარტებთან შესაბამისი სასწავლო და ზოგადი გარემოს შექმნის თვალსაზრისით. კვლევის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა კოლეჯის ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის დაწესებულების ხელმძღვანელობის შეფასება კოლეგებისადმი და მათი საქმიანობისადმი დამოკიდებულების და წახალისების კუთხით.

გამოკითხვის მიზანი, საბოლოო ჯამში, მდგომარეობდა კვლევის შედეგების საფუძველზე კოლეჯის მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისად.

კვლევის შეზღუდვა განაპირობა გამოკითხულთა მიერ პასუხისაგან თავის შეკავებამ კითხვარში მოცემულ ერთადერთ ღია კითხვაზე: „მიუთითეთ თუ გაქვთ განსხვავებული მოსაზრება რის შეცვლას ისურვებდით“.

კვლევა კონფიდენციალური ხასიათისა იყო, რაც გამოკითხულთა გულწრფელობას და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, კითხვებზე პასუხების გათვალისწინება კოლეჯის ადმინისტრაციას ხელს შეუწყობს დაწესებულების მართვის პროცესის სრულყოფაში.

№	შეკითხვა	შეფასება		
		კმაყოფილი ვარ	არ ვარ კმაყოფილი	ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ
1	ხელმძღვანელობის საქმიანობით	5 (100 %)		
2	სხვა ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობით	5 (100 %)		
3	სამუშაო გარემოთი და პირობებით	5 (100 %)		
4	სასწავლო პროცესის ორგანიზებით	5 (100 %)		
5	დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობით	5 (100 %)		
6	ანაზღაურებით	5 (100 %)		
7	კოლეგებთან ურთიერთობით	5 (100 %)		
8	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობით	5 (100 %)		
9	ზოგადი მდგომარეობით	5 (100 %)		
10	კოლეჯის ხელმძღვანელობის	5 (100 %)		

	დამოკიდებულებით/მიდგომით/დახმარებისა და წახალისების მექანიზმებით			
11	მიუთითეთ თუ გაქვთ განსხვავებული მოსაზრება რის შეცვლას ისურვებდით			

როგორც კითხვარის მაჩვენებლებიდან ირკვევა, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი კოლეჯის მენეჯმენტთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, რომელიც კვლევაშია წამოწეული, მაღალ შეფასებას აძლევს, რაც დაწესებულების მენეჯმენტით მათ კმაყოფილებას ადასტურებს. ამაზე მეტყველებს ერთადერთი გამოკითხულის მიერ ღია კითხვაზე გაცემული პასუხიც, სადაც ის აღნიშნავს, რომ „არ აქვს სხვა მოსაზრება“.